სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება №34

ქ. ბათუმი 13 თებერვალი, 2023 წელი

ერთი მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში ,,შემსყიდველი"/„ბსუ"), წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მერაბ დიასამიძის მიერ და მეორე მხრივ მცირე მეწარმე გერონტი ბექაია (ს/ნ. 01007008384, შემდგომში ,,მიმწოდებელი"), ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ი" ქვეპუნქტისა და ბაზრის კვლევის შედეგების (სამსახურებრივი ბარათი №MES5 23 000140433, 08.02.2023 წ) საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების (შესყიდვის)ობიექტი

1.1. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი - სასწავლო - სამეცნიერო ლიტერატურა (CPV: 22112000).

1.2. შესყიდვის ობიექტის დასახელება, რაოდენობა და ერთეულის ფასი მოცემულია დანართი №1-ში (ფასების ცხრილი), რომელიც ხელშეკრულებას თან ერთვის და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი.

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **748,00 (შვიდას ორმოცდარვა)** ლარს.

2.2. საქონლის ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი, რომელთა გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2.3. ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო.

2.4. ანგარიშსწორება „შემსყიდველის" მიერ განხორციელდება,მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) დღის განმავლობაში.

2.5. საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

2.6. დაფინანსების წყარო - საკუთარი სახსრები, ქვეპროგრამის -ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი - დაფინანსების ფარგლებში.

3. ხელშეკრულების ინსპექტირების (კონტროლის) პირობები

3.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს, წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად მიღება-ჩაბარების მიზნით განახორციელებს **ბსუ-ს მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი როლანდ ხალვაში და ბიბლიოთეკის დირექტორი ტარიელ ებრალიძე.**

3.2. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების დადებიდან 2023 წლის 14 აპრილის ჩათვლით.

4.2. მიწოდების ადგილია ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. №35, ბსუ.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება - ჩაბარება განხორციელდება მიღება - ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება „შემსყიდველის" და ,,მიმწოდებელის" მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ;

5.2. შესყიდვის ობიექტის მიღება და საბოლოო შემოწმება ხდება მიწოდების ადგილზე.

5.3. შესყიდვის ობიექტის მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი;

5.4. მიღებას არ ექვემდებარება ნახმარი და/ან მექანიკური დაზიანებების მქონე წიგნები.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

6.1. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ თავის ვალდებულებებს ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში, შემსყიდველი წერილობითი ფორმით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ყოველ დაგვიანებულ დღისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულებით განსაზღვრული დარჩენილი მისაწოდებელი საქონლის ღირებულების ფასის 0.1 %-ის ოდენობით.

6.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 5 (ხუთი) %-ის ოდენობით.

6.4. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ფასის 1 %-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ან შეწყვეტა

7.1 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

7.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.3. ნებისმიერი ცვლილება რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

7.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება ითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. ფორს-მაჟორული სიტუაციები

8.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

9. სადაო საკითხების გადაწყვეტა

9.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულკების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

9.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

10. გადასახადები და ბაჟები

10.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვროს ხელშეკრულების დადების დღიდან 2023 წლის 10 ივლისის ჩათვლით.

12. სხვა პირობები

12.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ის პუნქტები, რომელიც ხელშეკრულების რომელიმე მხარეს ანიჭებს რაიმე უფლებას, ასეთი უფლების გამოყენება არ წარმოშობს ხელშეკრულების მეორე მხარის რაიმე ვალდებულებას, თუ წინამდებარე ხელშეკრულება პირდაპირ არ აწესებს ასეთზე ხელშეკრულების მხარის ვალდებულებას, გარდა ხელშეკრულების მხარის ვალდებულებისა, რომ მან პატივსადები მიზეზების არსებობის გარდა ხელი არ შეუშალოს ხელშეკრულების მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით მინიჭებული უფლების გამოყენებას.

12.2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები მოცემულია მთლიანად ხელშეკრულებაში და სადაოობისას ხელშეკრულების რომელიმე მხარეს უფლება არ აქვს მხარეთა უფლებების ან/და მოვალეობების განსაზღვრისას მიუთითოს მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულების იმ პუნქტს, რომელიც ითვალისწინებს ხელშეკრულების მხარეთა ვალდებულებებს.

12.3. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები, რომლებიც მოწესრიგებული არ არის წინამდებარე ხელშეკრულებით, წესრიგდება საქართველოს კანონმდებლობით, რაც ნიშნავს, რომ სადაოობისას არცერთ მხარეს უფლება არ აქვს მიუთითოს, რომ მისთვის ცნობილი არ იყო ხსენებული სამართლებრივი აქტების ან მისი ცალკეული ნორმისა თუ დებულების თაობაზე.

12.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

13. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	მცირე მეწარმე გერონტი ბექაია
ს.ნ. 245 428 158	ს.ნ. 01007008384
ბ/კ: TRESGE22 მიმღები ბანკი - სახელმწიფო ხაზინა მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში	ს.ს. „თიბისი ბანკი“ ბ/კ: TBCBGE2 ანგ. №GE72TB0635036010100002
ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	მცირე მეწარმე
მერაბ დიასამიძე	**გერონტი ბექაია**

2023 წლის 13 თებერვალს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ გაფორმებული №34 ხელშეკრულების
დანართი №1

ფასების ცხრილი

№	დასახელება	ISBN	ავტორი	გამომცემლობა	შესყიდვის რაოდენობა, ცალი	ერთეულის ფასი	საერთო ფასი
ქვეპროგრამა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი							
1	ლათინური სამედიცინო ტერმინოლოგიის საფუძვლები (2022)	9789941333309	ნ.ამირანაშვილი ნ.გიგოლაევა რ.გიორგობიანი ნ.ხატიაშვილი	უნივერსალი	17	24,00	408,00
2	Latin Medical Terminology	9789941332289	N.Amiranashvili; N.Khatiashvili; M.Kutelia; N.Amashukeli	უნივერსალი	17	20,00	340,00
ჯამი შვიდას ორმოცდარვა ლარი							**748,00**